ცნობის ფურცელი

№ 2017 ოთხშაბათი, 18 დეკემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 2017

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება. „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". **ტელეფონი № 372**

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.	1 წლით—9 მ., 6 თვით – 5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე"-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც **„მოამბეს"** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი"** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

მომავალ წელს **„მოამბე"**-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ"-ის თარგმანი, „რომის ისტორია" და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели".

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოიძე.—საშარდეს (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. ვ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კამოკვლ.) მასაჟი და სამკურნ. გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ).

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ პარასკევს, 20 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ ტფილისის სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრების გაგრძელება

განსახილველი საგნები:

1) სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა 1902/3 წლისა:
2) სარევიზიო კომიის მოხსენება;
3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
6) მოხსენება დრამატიულ კურსების დაარსების შესახებ;
7) მოხსენება დასის მთელის წლით შენახვისა.
8) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრებისა. (3—2)

წარმოდგენა 23. ტელეფონი 617

◆ **საგასტროლო წარმოდგენა** ◆

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, 1902 წელს

ნინო ჩხეიძის საგასტროლოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

ცქრიალა

(Frou—Frou)

დრამა 5 მოქმ. მელიაკ და ჰალევისა, თარგმ. თავ. ივ. მაჩაბლისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ნ. რიონელი, როსტომაშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი, რკინელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„გრიგალი"**, **„დინიშა"**, **„ხიმე-ხიმამრი"**, **„მედეანოს თინები"**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე ჰავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 8. (წო.)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ყაწნიოის ქუჩა № 24 სახ. იაჩნაძისა. (წ).

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

საზღვარ-გარედ

ვენეცუელა. როგორც ვიცით, ინგლისმაცა და გერმანიამაც მიიღო მონაწილეობა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაში და ხელი მოაწერეს შემუშავებულ პირობებს სამედიატორო სამართლისას თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას, იქიდანაც სჩანს, სხვათა შორის, რომ ისეთი საცილობელი საქმეც-კი, როგორიც გერმანია-ინგლისს აქვს ვენეცუელასთან (სავაჭრო ინტერესების შელახვა, ზარალის ანაზღაურება), არ მიანდეს სამედიატორო სამართალს და იარაღით ხელში შეუდგნენ კითხვის გადაწყვეტას. „ჰქონდათ კი ზნეობრივი უფლება ასე მოქცეულიყვნენ მოკავშირენი"-ო? ჰკითხულობს ფრანგული გაზეთი „ტან"-ი. რასაკვირველია, არ ჰქონდათ, მაგრამ ზნეობრივი უფლება და არსებული საერთაშორისო დამოკიდებულება შორი შორს არის ერთმანეთისაგან, თორემ ზნეობრივ უფლებას რომ რაიმე გავლენა და ძალა ჰქონდეს, მაშინ ბევრს შეუმსუბუქდებოდა მძიმე და აუტანელი უღელი, რომელიც პირდაპირი შედეგია ეხლა გაბატონებულ საერთაშორისო პრინციპებისა.

ერთის სიტყვით, გერმანიამა და ინგლისმა ზნეობრივ უფლებასა და სამედიატორო სამართალს ძალმომრეობით მოქმედება არჩიეს, თუმცა გაუგებარია, რა უნდა გამოიტანონ ასეთის პოლიტიკით. ვენეცუელის გემების დამსხვრევა, ნავთსადგურების დაკეტა ვენეცუელის კასას ვერ აავსებს და საიდან უნდათ, რომ ზარალი აინაზღაურონ. რაც შეეხება ვენეცუელის ტერიტორიას, ამერიკის შეერთებული შტატები ნებას არავის მისცემენ იქ ფეხი მოიკიდოს.

ინგლისის მთავრობა, საზოგადოების და მრეწველობის ზედ-გავლენის გამო, მზად არის სამედიატორო სამართალს გადასცეს საქმე. „პრინციპიალურად" არც გერმანიაა ვითომ სამედიატორო სამართლის წინააღმდეგი, მაგრამ იმდენ წვრილმან პირობების შესრულებას თხოულობს სასამართლოში საქმის მისვლამდე, რომ, ცხადია, გულში არ სურს ადგილი ჰქონდეს საქმის სამედიატორო გარჩევას.

გარდა ამისა, არც ინგლისს, არც ნამეტურ გერმანიას არ სურს ჰააგის სასამართლომ გაარჩიოს საქმე—რუზველტი იყოს საქმის გადამწყვეტიო. რუზველტს პირდაპირ უარი არ უთქვამს ასეთ წინადადებაზე, მაგრამ სცდილობს-კი, რომ თავიდან აიცილოს ასეთი მოვალეობა, რადგან ჰჯერავს, რომ თუ მოსამართლეობას იკისრებს, გადაწყვეტილების ასრულებას აკისრებინებენ. მაგრამ თუ მოკავშირენი არ დასთანხმდნენ ჰააგაში საქმის განხილვას, ამერიკის პრეზიდენტი, ალბად, მიიღებს თავზე მედიატორობას, რომ ხელი შეუშალოს საქმის უკიდურეს გამწვავებას.

ინგლისი. ერთი საყურადღებო და დიდ მნიშვნელოვანი საქმე გაარჩია სასამართლომ ლონდონში. მკითხველს ეცოდინება, რომ ინგლისელ კაპიტალისტებმა რამდენჯერმე სცადეს სამართლის წესით გადაეხდევინებიათ მუშების ორგანიზაციისათვის ის ზარალი, რომელიც მათ მუშების გაფიცვის გამო მოსდით. მიზანი კაპიტალისტების ახეთ პოლიტიკისა ის არის, რომ შეასუსტონ მუშების ორგანიზაცია. ინგლისის მუშათა სინდიკატებს დიდ-ძალი ფული შეუგროვებიათ ერთად შავის დღისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როცა იგი უსაქმოდ დარჩება გაფიცვის გამო. ეს დიდ-ძალი ქონება მოგროვილია თითო-ოროლა გროშობით, რომელიც ღარიბ მუშას გაჭირვებით გადაუნარჩუნებია ყოველ დღიურ არსებით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაგან. კაპიტალისტი თუ მიზანს მიაღწევს და ამ გაჭირვებით შეგროვილ ფულით აივსებს თავის ზარალს, მუშების ორგანიზაცია დიდ საფრთხესა და გაჭირვებაში ჩავარდება.

ხსენებული საქმე სწორედ ამ ხასიათისა იყო: რკინის გზების პატრონთა სინდიკატმა უჩივლა ამავე რკინის გზების მუშების სინდიკატს ის ზარალი, რომელიც 1900 წლის გაფიცვით მოუვიდათ. სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნები და ზარალის გადახდა მუშების ორგანიზაციას დაავალა. მუშების სინდიკატები, რასაკვირველია, არ დასთანხმდნენ სასამართლოს დადგენილებას და საქმე უმაღლეს ინსტანციაში გადაიტანეს.

მთელი ინგლისის საზოგადოება დიდის ინტერესით მოელის საქმის საბოლოო განხილვას.

იაპონია. იაპონელი დიდი „ბედოვლათი" თურმე ყოფილა და რუსული გაზეთი „ნოვოე ვრემია" დიდათ სძრახავს მას ამ ბედოვლათობას. „ვისაც კი უცხოვრია პროვინციაში (რუსეთში, საფრანგეთში თუ გერმანიაში) და თვალყური უდევნებია ხალხის ცხოვრებისათვის, იმან კარგად იცის, თუ რა არის გლეხისათვის წერილის დაწერა ან, კიდევ უფრო, დეპეშის გაგზავნა, ქალაქში წასვლა, გაზეთის გამოწერა და სხვა. შვიდი კაპეიკის მარკაზე დახარჯვა ფლანგვად არის მიჩნეული. იაპონიაში კი გასაოცარის სიადვილით მოგზაურობენ, ხშირად მხოლოდ სიამოვნებისათვის. წერილებსა და დეპეშებს კიდევ უფრო მეტის სიადვილით სწერენ. იშვიათია იაპონელი, რომ გაზეთი არ ჰქონდეს გამოწერილი. თითქმის ყოველ სოფელშია გაზეთი. სულ პატარა შეძლების პატრონ იაპონელს აბრეშუმის ტანისამოსი აქვს, სახლში შესაფერ მოწყობილობას ნახავთ, მარაოც აქვს სიცხისათვის, ვაზა—ყვავილებისათვის, ყოველ დღე ბანაობს; უყვარს გასეირნება ქალაქ გარედ, ხშირად რკინის გზითაც; ტაძარში ერთ-ორ გროშს დატოვებს, ბავშვებისათვისაც რამეს იყიდის და სხვა."

ამიტომაო, ამბობს „ნოვოე ვრემია", იაპონელმა ყაირათი არ იცის, ფულს ვერ ინახავს იმდენს, რამდენსაც ევროპიელებიო (მათ შორის რუსები).

კარგი იქნებოდა, რუსულ გაზეთს რუსის გლეხისათვის ეკითხა—გაცვლიდა თუ არა

იგი თავის ყაირათიან ცხოვრებას იაპონელის ბედოვლათობაზე. რომ ეკითხა, საეჭვოა, რომ ასეთ შინაარსის წერილი დაებეჭდა.

ახალი ამბავი

◆ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შემდეგი კრება** მოხდება პარასკევს, 20 დეკემბერს. ამ დღეს კრება განიხილავს ბ-ნ სულტან-კრიმგირეის მოხსენებას დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ სამეურნეო ცოდნათა გავრცელების საქმეში. კერძო კრებაზე ამ მოხსენების განსახილველად სულტან-კრიმგირეის მოუწვევია ი. ს. გოგებაშვილი, ნ. ზ. ცხვედაძე, სახალხო სკოლების ინსპექტორი პერევოზნიკოვი, მასწავლებელნი მალხასიანცი, ლისიციანი, ნატროშვილი, მოლლა აბდუსალამი, ახუნდ ზად-შეიხ-ულ-ისლამი და მირზა-სეგიფედინ სეიდოვი.

◆ ქალაქის **მოურავად ახლად არჩეული თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი** და საბჭოს მდივანად—სტ. ჭრელაშვილი მოურავის მოადგილემ ბ-ნმა შესტაკოვმა გუშინვე წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად.

◆ ხუთშაბათს, 19 დეკემბერს ქალაქის **საბჭოს კრება იქმნება** იმ საქმეების გასარჩევად, რომელიც ორშაბათის კრებას დარჩა გაურჩევლად.

◆ ხმოსანს ნ. ი. თამამშევს განცხადება მიუცია ქალაქის მოურავის მოადგილისათვის, **ქალაქის მეურნეობის გასაცნობად** კარგი იქმნება ხმოსნები მოიწვიოთ და ადგილობრივ გაიცნონ ყველაფერი იმ კაცებმა, რომელნიც ამა თუ იმ საქმის მმართველად არიან. კარგი იქმნება, თუ ამ მოგზაურობის დროს საქმის მცოდნენიც თან ახლდებიან და შენიშნულ ნაკლს აუხსნიან ხმოსნებს. ამ გზით ხმოსნები ადვილად გაიცნობენ ქალაქის მდგომარეობასაო, აცხადებს ბ-ნი თამამშევი.

◆ დიდ-გომარეთში, როგორც გვატყობინებენ, **კოოპერატიული სავაჭრო ამხანაგობა დაუარსებიათ.** ამხანაგობის წევრებად ხუთის სოფლის მკვიდრნი არიან. ვაჭრობას ამხანაგობა პირველ იანვრიდან შეუდგება. გაზაფხულზე იგი აარსებს ყველის საკუთარ ქარხანას.

◆ 16 დეკემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო **ბანკში საჯარო ვაჭრობა მოხდა.** გასასყიდი იყო 26 ტფილისის მამული, აქედან გაიყიდა 17 მამული. ამ გაყიდულ მამულებზე თავნი ვალი ყოფილა 172,816 მან. 15 კაპ. დარჩენილი გადასახადი 5175 მან. 41 კაპ. ბანკს აუღია 178,991 მან. მეორე ვაჭრობა დარჩენილ მამულების გასასყიდად მოხდება 1901 წლის 8 იანვარს. 17 გაყიდულ მამულში 5 ქართველისაა, 11—სომხისა და 1—სპარსელისა.

დღეს ბანკში საჯარო ვაჭრობაა სხვა ქალაქების მამულებისა.

◆ ტფილისის სახაზინო პალატა შეკითხებია გადასახადთა ინსპექტორებს, **რამდენად სასარგებლო გამოდგა** ის წიგნები და დავთრები, რომელიც სოფლად შემოღებული იყო სხვა-და-სხვა გადასახადთა ჩასაწერად და საწარმოებლადაო. აგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ, თუ საჭიროა, რა ცვლილება უნდა იქმნეს შემოღებული ამ წიგნებ-დავთრების ხმარებაში, მაგრამ ისე, რომ ეს წიგნებ-დავთრები, რაც შეიძლება, მარტივად იქმნეს შედგენილი, რომ სოფელმა ადვილად აწარმოოსო.

◆ გუშინ, 17 დეკემბერს, **დუშეთში წავიდა** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია ბ-ნ შარიგინის თავმჯდომარეობით.

◆ როგორც გვატყობინებენ, დიდის თოვლის გამო **ტყიბულის შტოზე** მატარებლებს მიმოსვლა უჭირთ. 16 დეკემბერს მატარებელი № 108 ამ შტოს მე-33 ვერსზე 9 საათი და 10 წუთი იდგა თურმე.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული **ბ-ნი მედვედევი სთხოვს სამინისტროს** 28 ათას მანეთს, რომ ტფილისის ბოტანიკურ ბაღში მოსამსახურეთათვის და სხვა იქაურ საჭიროებისათვის სახლი აიგოს.

◆ ტფ. **ქალების გიმნაზიაში ხუნაგი გაჩენილა** კარგა ხანია. 13-მდე ავად გამხდარან, რომელთაგან 8 პანსიონერია და 5-ც გარედან მოსიარულე.

◆ დურგალთა ამხანაგობის **„შრომის“** კრება კვირას არ მოხდა, ამიტომ იგი 22 დეკემბრისათვის გადაიდო.

◆ ამას წინად ქალაქის გამგეობამ თავისს ტეხნიკოსს მიანდო მეორე **ღამის თავშესაფარში საჭირო რემონტი მოეხდინა.** ტეხნიკოსს მოუხსენებია ამ დღეებში, რომ რემონტი მოვახდინეო. ჩვენ-კი გადმოგვცეს, რომ ამ უბნის ქალაქის ექიმ ქალს შჩერბინინისას მოუხსენებია გამგეობისათვის, რომ რემონტი ჯერ დამთავრებული არ არის: ფეჩები ისე ცუდად მოქმედებენ, ამ დღეებში ცეცხლი გაუჩნდა და ძლივს ჩააქრეს; ოთახების კედლები შეულესავია, წყლის მილის კრანები ცუდ მდგომარეობაშია, რადაც მჩვრებშია გახვეულიო და სხვ.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობამ დაავალა იურისკონსულტის თანაშემწეს, 35 **ათასის მანეთის საჩივარი დაუწყოს** იმ ხარჯის აღსადგენად, რომელიც ქალაქმა სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად დახარჯა სხვა-და-სხვა სავალდებულო წესების დარღვევისა გამო.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ამბავი: „პრიუტის ქუჩის მთელი უბანი შეწუხებულია უწყლობით. მცხოვრებნი დასალევ წყალს ერთმანეთს ესესხებიან ხოლმე. მიზეზი ის არის, რომ მთელ უბანში ერთად-ერთი წყლის მზიდავია, რომელსაც მეტად ბევრი მუშტარი ჰყავს. ისიც ისე გათამამებულია, რომ ჩვენ ხვეწნა-მუდარას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და მოაქვს წყალი მაშინ, როცა თვით ინებებს ხოლმე. ხშირად დედაკაცებსა და ბავშვებს ლანძღვა-გინებითაც ისტუმრებს. პატარა ბოჭკაში 5 კაპეიკს იღებს. ვეხვეწეთ, ორი ბოჭკა 9 კაპ. ეყიდნა, მაგრამ ვერა გავაწყვეთ-რა. არ ვიცით, ვის მივმართოთ“.

◆ ხმოსანს ყარა-მურზას და სხვებს განუზრახავთ პირველ ღამის თავშესაფარში (დიდუბეში) შობის ღამეს გაუმასპინძლდნენ იქ მცხოვრებთ. მეთაურთ უნდათ ამისათვის საჭირო ფული შეწირულებით შეჰკრიბონ.

◆ ბალაჯარიდან გვატყობინებენ: 15 დეკემბერს, ღამე, სადგურზე გაძარცვეს ორი ვაგონი, რომელშიაც ტყვიები და ყუმბარები იყო. ეს ვაგონები სხვებთან ერთად ჯარისათვის პეტერბურგიდან ტფილისს მოდიოდა. სადგურს მახლობლად იპოვნეს ყუთები, ტყვია წაეღოთ, ყუმბარები კი დაეტოვებინათ.

◆ 1900 წელს საბუნჩაში ნავთის მწარმოებლის მანთაშევის კანტორას დასცემიან ყაჩაღები და წაუღიათ 14,000 მან. ამ ყაჩაღობისათვის დაუჭერიათ აბოვიანცი და ა. მარტიროსოვი. ბაქოს ოლქის სასამართლოს ორივე დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ყოველის უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა აბოვიანცისათვის 8, ხოლო მარტიროსოვისათვის 4 წლით. პალატამ ეს საქმე გაარჩია გუშინ და აბოვიანცის შესახებ სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა, ხოლო მარტიროსოვს გადაუწყვიტა ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა რაზმში 1 წლით გაგზავნა.

◆ დღეს, 18 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფილისის მოქალაქის იოსებ სირუნაძისა, რომელსაც თავის მამის გიორგი სირუნაძის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ „კოლხიდა“-მ ბამბის ყიდვა უკვე დაასრულა. ამ ჟამად ნაყიდი აქვს 15 ათასი ფუთამდე გაურჩეველი ბამბა, რომელსაც საკუთარსავე საწყობში—ქუთაისში—არჩევენ.

◆ სადაც ბილიარდისა და ნარდის თამაში იყო, ქუთაისის პოლიცმეისტრის განკარგულებით სულ დაიკეტა.

◆ „ჯაჭვის ხიდის“ მახლობლად, რიონის მარჯვენა მხარეს, ვინმე ს—ძემ უშველებელ კლდეზე სახლი ააშენა. ამისათვის ს—ძეს, რასაკვირველია, კლდის ჩამოჭრა-ჩამოსწორება დასჭირდა, რის გამოც კლდე დაზიანდა, სახლის პატრონმა-კი ამის გასამაგრებლად არ იზრუნა. ამ ჟამად დაზიანებული კლდე საკმაოდ ჩამოწვა, სახლის პატრონს კიბე დაუნგრია და გზაც იმდენად გააფუჭა, რომ ეტლისა თუ ურმის მიმოსვლა შეუძლებელი გახდა. ამავე ადგილას ახლა მეორე სახლის პატრონი, მ—ძე მისდგომია კლდის დანგრევას. იქიდან დაგორებული ქვა-მიწა ძირს ცვივა, გზას აფუჭებს და აქ გამვლელთათვისაც საშიშო შეიქმნა. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას.

პრესსა

დონის ოლქის ოფიციალური გაზეთი „Вѣстникъ казачьихъ войскъ“ ამბობს, რომ უმთავრესი საკითხი, რომელიც აღელვებს და აინტერესებს ამ ჟამად ადგილობრივ მცხოვრებთ, არის ერობის შემოღების საქმე კავკასიაში და დონის ოლქში.

არა მარტო დონის ოლქია სინანულში, რომ წინად საერობო დაწესებულებათა წინააღმდეგი იყო, არამედ თერგისა და ყუბანის ოლქებიც სწუხან, რომ აქამდის ამ დაწესებულებათა შემოღებისათვის არ უზრუნიათ. ახლა ამ ოლქების მცხოვრებნი ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ ადგილობრივ თვითმართველობის განვითარება და გაფართოვება პირველი საშუალებაა ადგილობრივ კულტურის ზრდისა და ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ყუბანის ოლქში თვით საოლქო ადმინისტრაციამ სცნო უპირველეს საჭიროებად ერობის შემოღება.

შემდეგ გაზეთი სრულიად სამართლიანადა სწერს, რომ ასეთივე მდგომარეობაა ყველა იმ განაპირა ქვეყნებში, სადაც ერობა ჯერ არ არსებობს: ყველგან ნიადაგი მზად არის, ყველგან ისეთი საქმეები გაჩნდა, რომელთა ასრულება მხოლოდ ერობას შეუძლია, და ამიტომ დაგვიანება მავნებელიაო.

სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტში

14 დეკემბერს დაიწყო სხდომები სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა ტფ. საგუბერნიო კომიტეტისა. პირველს სხდომაზე, „კავკაზ“-ის სიტყვით, განხილულ იქმნა მოხსენებანი: წვრილ კრედიტის მოწყობისა, სამელიორაციო კრედიტის გავრცელებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების მოწყობა-დაარსების შესახებ. ყველა ეს მოხსენებანი მოწონებულ იქმნა განსაკუთრებულ სექციის მიერ, რომელსაც თავმჯდომარეობდა სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ტფ. განყოფილების მმართველი ბ. შულგინი.

წვრილ კრედიტის შესახებ კომიტეტმა, თანახმად მოხსენებისა, საუკეთესოდ სცნო, რომ საგუბერნიო ქალაქში დაარსდეს განსაკუთრებული დაწესებულება, რომლის მოვალეობა იქნება: 1) მიღება ენერგიულის საშუალებისა ახალ საკრედიტო დაწესებულებათა დასაარსებლად; 2) ამ დაწესებულებათათვის საჭირო საშუალებათა აღმოჩენა ძირითადის და საწარმოებელ თანხების შესადგენად, რისთვისაც უნდა ასესხებინოს სარგებლით ფული სახელმწიფო ბანკიდან, შემნახველ-გამსესხებელ სახელმწიფო კასსებიდან ან კერძო ბანკებიდან; 3) წვრილ კრედიტის დაწესებულებათათვის სხვა-და-სხვა შუამავლობის გაწევა; 4) ამ დაწესებულებათა კანტროლის მოწყობა თავიანთ აგენტების შემწეობით და 5) ამავე აგენტების შემწეობით საკრედიტო დაწესებულებათა წევრებ შორის სხვა და სხვა სამეურნეო ცოდნათა გავრცელება. კომიტეტმა მოიწონა ეს მოხსენება შემდეგის ცვლილებით: ა) გრძელ ვადიან სესხის გაცემა შეიძლებოდეს 10-სა და არა 5-ს წლით. ბ) საგუბერნიო დაწესებულების საბჭოს წევრებად მიწვეულ იქმნან არა მარტო საგუბე-

ფელეტონი

ქიზიყის ავ-კარგი

საქართველოს დასაბამიდან დღევანდლამდე ქიზიყის სოფლებს აბანო არა ჰღირსებია. ძალიან იშვიათია ისეთი სოფლის გლეხი ანუ „მინდვრის კაცი“, რომლის ტანს ნათლობის ემბაზში ამოვლების შემდეგ გაბანვა ჰღირსებოდეს თბილის წყლით. არიან ბევრნი ისეთნი ობოლ-უპატრონო მწყემსნი (მეცხვარენი, მეძროხენი, მენახირენი, მეღორენი, მეჯოგენი), რომელთაც წლის-წლობამდის გამოუცვლელი საცვლები ტანზე ალპებათ ჭუჭყისაგან და იმ საცვლებს გარეცხვა არ ეღირსებათ არასოდეს. ათასში ერთნი ირეცხავენ, მხოლოდ ისიც ზაფხულობით მდინარესა, ტბასა და გუბეში.

წარსულ ზაფხულში ორმა ქართველმა მოიწადინა ქვემო-მაჩხაანში, წყაროების მახლობლად ორის აბანოს გაკეთება, ერთმა მეორეს დაასწრო და მეორე შედგა: ვნახოთ, თუ საკმაო მუშტარი იქნება, მაშინ მეც გავმართავო. მაგრამ, სამწუხაროდ, ორის თვის შემდეგ აბანო დაიკეტა, რადგანაც თითო-ოროლანი მივიდნენ, უსუნეს და სამუდამოდ წამოვიდნენ.

— მგელმა შეგჭამოთ, მგელმა ვანაანისამ! თქვე მგლის მუცელში გასაძვრენებო, ჯერ შამაგულიანეთ: მუდამ ვივლით აბანოშიო, იმოდენა გროში-გროშობით მონაგრებული ფული დამახარჯვინეთ, დამღუპეთ საწყალი კაცი, და ეხლა კი თქვენც აღარ მეკარებით შორი-ახლოც და აბა ჩვენი საწყალი, მინდვრის ხალხი როგორ-ღა გავამტყუნო!..— უსაყვედურათ მეაბანოე იორდანემ სოფლის შეხუმრებულ მედუქნეებს, რომელნიც კვირადღეს სამიკიტნოს წინ შეყრილიყვნენ ახლად დანიშნულ ძმა-ბიჭის „მალარიჩის დასალევად“.

— შე კაი კაცო, ჩვენ თითო ჯერ მაინც ვიყავით და აიე ტეტიები რო ერთხელაც არა ყოფილან!—მიაძახა მედუქნეთაგანმა სახლისაკენ მიმავალ იორდანეს, რომელიც ისეთი დაღონებული და დაღვრემილი სახით მიდიოდა, რომ მტერსაც შეებრალებოდა.

— გაიხანხლე აქადააამ!.. ათასი ხარჯებისა და ბორჯებისაგან ტყავ-გამძვრალ ტეტიებს თვალზე მისაკრავი გროშიც აღარ გვაბადია და ეხლა ჩვენ აბანოლა გვაგონდება ხუხლუპანა ფარინებს, როცა საყდარიც კი დაგვაყიწყა ჩვენმა ამოდენა დუხჭირობამ?! აბანოში თქვენ უნდა იაროთ. რო ქვაცა გაქვთ და კაკალიც და თავში შამოსაკრავიც, თორე მე რა გამაჩნია, სული კბილით-ღა მიჭირავ და ჩვენ თაგვებსაც კი შიმშილისაგან თვალთა ჰშავდებათ. ვერ უყურებთ ა ყიამათ ზამთარში ჩემ დაფასკულ ფარაჯას: შიგ კამეჩები გაძვრებიან.

— მართალს ამბობ, ჯოლოლავ, მართალს, ზიარების მადლმა! მაგრამ ა დალოცვილ სამიკიტნოს ღუმელივით ოთახში რო ლაზათიანად გამოვიტიტაყვებით ხოლმე შავი ღვინითა და ცხელ-ცხელი მწვადებით, ამას რომელი გახურებული აბანო სჯობია, შე კაი კაცო და მე უკეთესო!

— რაც არ ექნას პაპა შენსაო, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებსაო, ჰაზირ თითონ ქართველებსავე უთქვამთ ესაც! აბანოს რომ, ის ემე, გასავალი ჰქონდეს ტეტია ქიზიყელებში —მე და შენ ვინ დაგვასწრობდა. ისეთ რასმე გავაკეთებდით, იმარიუს გიჟენ, რომ სამი ანტიკა ზალიფონსკიასას! მაგრამ, ბან ჩუნის! რათ დაუდებ ჩემ მოგებულ კვერცხებს ისეთნაირ ოპერ კრუხს, რომ გამილაყოს, გიჟი ვარ! ტუტუცი ჰჟანტავს, ჭკვიანი ინახავსო და, სლავა ბოღუ, მე და შენ ტუტუცების სიაში არა ვწერივართ.

— ნაკრუხალ ბარიშნასავით ნუ აჰტყდებით ხოლმე, აკარაკებო! გეყოფათ, მუნჯკაც! მწვადები შაიწვა, შავიდეთ ეხლა, მუცელი დავიჩუმოთო,—და შევიდნენ სამიკიტნოს უკანა-ოთახში.

—

ვერ დავასახელებთ ვერც ერთს საქმეს ქიზიყის ხალხის ეკონომიურ-სოციალურ ცხოვრებისას, რომ ან ვაგლახი და ან სამარცხვინო არ იყოს. როგორც მოგეხსენებათ, ქიზიყსაც მეურნეობა-მრეწველობა აცხოვრებდა და აცხოვრებს, მაგრამ მეურნეობა-მრეწველობის საქმეებშიაც ქიზიყის უმრავლესობის უვიცობა დღესაც საარაკოა. დღევანდელ ქიზიყის უზარმაზარი, მეკომურებით მჭიდროდ დასახლებული სოფლები პაწია დაბა-ქალაქებსა ჰგვანან გარეგნობით, თავიანთ ქვითკირ-კრამიტიანის შენობებით და დუქან-ბაზრებით, მაგრამ, რა გამოვიდა, ჩვენი ხალხის ქვითკირის შენობები გარედან მტერს უყენებენ თვალებს და შიგნიდან პატრონს თავისი უვარგისობით: ზამთრის დღეში რომ თითო ურემი შეშა დასწვათ ქიზიყელ გლეხის ბუხარში, მაინც რიგიანად ვერ გასთბებით, წინიდან სიცხით დაიწვებით და უკანიდან სიცივით.

მინდორში ხომ სიცივით ფიჩხდებიან ქიზიყელები ზამთრის ღამეებში. კაი შეძლებელი ოჯახიშვილიც არ დასდევს ზამთრობით მინდორში ქვეშაგები იქონიოს და უმრავლესობას სათაკილოდაც მიაჩნია მინდორში ქვეშაგებში წოლა. მუთაქად „რბილ ქვას“ დაიდებენ თავით, ლეიბად ხომ ყველგან დედამიწა აქვთ გაშლილი მზა-მზარეულად, მიწვებიან ცეცხლა-პირას, დაგლეჯილ ფარაჯასა, ტყავსა ან ნაბადში გახვეულნი, მუშაობით დაღალულ-დაწყვეტილნი და მიიძინებენ, მაგრამ ვაი იმისთანა ძილს! მრავალგვარი ავადმყოფობა და სნეულობა ემართებათ გაციებისაგან, და მერე კი დარბიან ქვეყნის უარესად ამომდებ მკითხავ-ქადაგებთან, რომელნიც რამდენსამე ეკკლესიაში მზვარა-კურატ-საწირავებით წასვლას ავალებენ და ჰლუპავენ ხალხს ათასნაირად.

ქიზიყელ მუშა-ოჯახიშვილის ჭამა-სმაც-კი ღმერთმა შეინახოს! მეტი გარჯილობით სულს

რნიო დაწესებულებათა სხვა-და-სხვა წევრნი და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი, არამედ თავად-აზნაურთა წინამძღოლნიც და მომრიგებელნი შუამავალნიც. ამასთანავე კომიტეტმა საჭიროდ სცნო, რაც შეიძლება შემცირებულ იქნას სხვა-და-სხვა ფორმალური მოთხოვნა სესხის გაცემის დროს.

მელიორაციულ კრედიტის გავრცელებისათვის კომიტეტმა საჭიროდ სცნო დაარსება განსაკუთრებულ საგუბერნიო კომიტეტისა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივ ცხოვრება-პირობების მცოდნე პირებმა და რომელმაც შუამავლობა უნდა გაუწიოს ადგილობრივ მეურნეთ, როდესაც ესენი მოისურვებენ მთავრობისაგან მელიორაციულ სესხის აღებას. ამასთანავე ამ კომიტეტს თვით უნდა ჰქონდეს ნება 5000 მანათამდე თვით გასცეს აგრეთი სესხი თითოეულ მემამულეზე. გარდა ამისა სამელიორაციო კრედიტის გასავრცელებლად კომიტეტმა სასარგებლოდ იცნო: ა) სხვა-და-სხვა სამეურნეო საზოგადოებათა და ამხანაგობათაც მიეცეს ნება სამელიორაციო სესხის აღებისა იმავე პირობებით, რა პირობებით იღებს ამ სესხს თითოეული მემამულე; ბ) დაწესებულ იქმნას, რომ ვენახისა და ხეხილის გასაშენებლად აღებულის სესხის გადახდა იწყებოდეს იმ დროიდან, როდესაც ვენახი და ბაღი შემოსავლის მოტანას დაიწყებს და გ) გაიცეს სამელიორაციო სესხი ბოსტნის მოსაწყობად, აგრეთვე საბრეშუმო და საფუტკრო მრეწველობისათვის.

სხვა-და-სხვა კოოპერაციების დაარსების საქმემ კომიტეტში ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. აღნიშნული იყო, რომ ტფილისის გუბერნიაში ნიადაგი მზად არის სხვა-და-სხვა ამხანაგობათა დასაარსებლად, საჭიროა მხოლოდ თაოსნობა და თანხების გამოძებნა. კომიტეტმა მოისმინა, სხვათა შორის, კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთისა“ და გორის მემამულეთა სინდიკატის მოღვაწეობის ანგარიში; ამასთანავე მოისმინა 1894 წელს ინტელიგენტთა ერთის წრის მიერ შემუშავებული პროექტი იმისა, თუ როგორ უნდა შეეწყოს ხელი ტფ. გუბერნიაში კოოპერატიულ დაწესებულებათა გავრცელების საქმეს. ბოლოს კომიტეტმა მოიწონა ამ პროექტის წინადადებანი და დაადგინა, რომ სასურველია სახელმწიფო დაეხმაროს საზოგადოებას სამეურნეო ამხანაგობათა დაარსების საქმეში ძირითადისა და საწარმოებელ თანხების შედგენით.

შემდეგი სხდომა საგუბერნიო კომიტეტისა უნდა მოხდეს დღეს, 18 დეკემბერს.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

საბჭოს სხდომების დანიშვნა 1903 წლისათვის, ათ სავაჭრო დეპუტატის არჩევა სამრეწველო გადასახადის გაწერისათვის სახაზინო პალატაში, დასაფასებელ გადასახადისაგან განთავისუფლება მცირე ფასიან მამულებისა, არშაკ ბაბოვის განცხადება, რომ გადაისინჯოს საბჭოს წინანდელი დადგენილება საპატიმროებისათვის საჭირო წყლის ტარიფის შესახებ, ყველა ეს საქმეები საბჭომ სულ-მოუთქმელად, სწრაფად განიხილა—ესწრაფოდნენ ქალაქის მოურავის არჩევანს.

მხოლოდ არშაკ ბაბოვის განცხადებაზე შეჩერდნენ სულ ცოტა ხანი. ამას წინათ საბჭომ არ შეიწყნარა საპატიმროების კომიტეტის თხოვნა წყლის ტარიფის დაკლების შესახებ. **არშაკ ბაბოვი** არ იყო თანახმა საბჭოს ამ დადგენილებისა და ითხოვა, რომ კითხვა ხელ-ახლად განხილულიყო: საბჭო ყოველთვის ისეთ დაწესებულებას უთმობდა წყალს შეღავათიანის ტარიფით, რომელიც ძალიან ბევრ წყალს ხარჯავდა ან საქველ-მოქმედო მიზანი ჰქონდაო; საპატიმროების კომიტეტი ბევრსაც ხარჯავს წყალს და საქველ-მოქმედო დაწესებულებაც არის, ამიტომ ძლიერ შეღავათიანის ტარიფით უნდა დავუთმოთ წყალიო. **ხმ. თაიროვი** ამტკიცებდა, რომ საპატიმროების კომიტეტი საქველ-მოქმედო დაწესებულებაა და მასთან ღარიბიც: ყოველ წელს იძულებულია იგი შუამდგომლობა აღძრას, რომ მეტი ფული მისცეს მთავრობამ, რათა ცოტა ადამიანური საჭმელი მაინც ჰქონდეს პატიმრებსო. ამიტომ ქალაქის მოვალეობაა დაეხმაროს თავის მხრივ ასეთ დაწესებულებასო. **ნ. იაკ. არღუთინსკი** წინააღმდეგია საბჭოს დადგენილების გადასინჯვისა—მთავრობას არ ესაჭიროება ჩვენი დახმარება პატიმრების შენახვის საქმეშიო, რადგან ხაზინა უფრო მდიდარია ქალაქზეო. თუ მთავრობა და ხაზინა არ იძლევა საკმარის საშუალებას? თუ, მათის აზრით, პატიმარი ღირსი არ არის ადამიანურის მოპყრობისა? ამას რაღა პასუხი უნდა მისცეს ხმოსანმა? ბოლოს საბჭომ **ნ. ვ. არღუთინსკის** წინადადება მიიღო—საგანგებო კომისიამ უნდა შეიმუშავოს საზოგადო საქველ-მოქმედო ტარიფი და წარმოუდგინოს საბჭოს. მაგრამ როდის მოვესწრებით ამ შემუშავებულ ტარიფს? ხმ. ქოჩორიანცი თხოულობდა, როცა პირველად განიხილეს ეს საქმე, რომ საზოგადოდ წყლის ტარიფი უნდა შემცირებული იქმნესო და ამიტომ საჭიროა გამგეობამ შესაფერი მოხსენება წარმოგვიდგინოსო. საბჭოც და გამგეობაც თანახმა იყო ქოჩორიანცის აზრისა, მაგრამ აქამდე არავის არ უფიქრია ამ საგანზე.

ქალაქის თავის არჩევანიო, გამოაცხადა თავმჯდომარემ და ხმოსნებშიაც გაისმა კმაყოფილების ხმა—აა!

როგორც ვიცით, სამი კანდიდატი იყო დასახელებული: ივანენკო, ვერმიშევი და ალ. არღუთინსკი. ბ. ივანენკოს განცხადება შემოეტანა—პირველ არჩევანზე კენჭსნუ მიყრითო, და არც დაუდგამთ მისთვის ყუთი. ბრძოლა ორ კანდიდატთა შორის უნდა მომხდარიყო. დიდი მითქმა-მოთქმა და გახმობ-გამოხმობა იყო არა თუ ხმოსნებ შორის, მაყურებლებ შორისაც, ქანდარა და კარიდორები გაჭედილი იყო ხალხით. დარბაზის კარი ღია ჩვეულების წინააღმდეგ და კარებში რამდენიმე მანდილოსანის თავი მოჩანდა—წაწყვეტაზე წამოეშვირათ წინ კისერი.

უმრავლესობა იმ აზრს ადგა, რომ არღუთინსკი გაიმარჯვებდა, მაგრამ გამარჯვება ბრწყინვალე არ იქნებაო, დიდი დიდი—ორი სამი ხმით თუ წააჯობებს ვერმიშევსაო.

ჯერ თ. ჩერქეზიშვილმა საქალაქო დებულების შესაფერი მუხლები წაუკითხა ხმოსნებს. შემდეგ ასისტენტები მიიწვია თავმჯდომარემ: ი. მ. ალიხანოვი, ხუდადოვი და ორი ევანგულოვი. შეუდგნენ საკანდიდატო ბარათების თვლას: არღუთინსკი, არღუთინსკი, არღუთინსკი... ჰკითხულობს დაბალის ხმით შესტაკოვი; ხან-და-ხან ვერმიშევი, ვერმიშევიც ისმის; მემარცხენეთ მეტი და მეტი სიამოვნება ეტყობათ სახეზე. ორმოცდა ათის ხმით **ალ. მიხ. არღუთინსკი** დაასახელეს, ოცდა სამის ხმით **ვერმიშევი**, ორის ხმით **არშაკ ბაბოვი**, თითო ხმით **გ. მ. თუმანოვი** და **ა. ს. მატინოვი**. ბაბოვმა და თუმანოვმა უარი სთქვეს, მატინოვის მაგიერ ერთმა ხმოსანმა განაცხადა უარი.

არღუთინსკის არჩევა ეჭვს გარეშე იყო, თუმცა აქა-იქ ამბობდნენ, რომ ამდენი თეთრი არ მოუვაო. დადგეს ყუთები და შეუდგნენ ნამდვილ კენჭის ყრას. ხმ. ბალდასაროვი მოვიდა რეპორტიორების სტოლთან და აღელვებულის სახითა და ხმით გამოგვიცხადა—თავს დავდებ, რომ არღუთინსკის ორმოცდა თხუთმეტი თეთრი მოუვაო. გათავდა კენჭის ყრა და ეხლა თვლას შეუდგნენ. შედეგმა ბალდასაროვის მოლოდინსაც გადააჭარბა: არღუთინსკის ამოუვიდა ორმოცდა ჩვიდმეტი თეთრი და ოცდა-ერთი შავი. დარბაზში, ქანდარაზე და კარიდორში დიდი და ხანგრძლივი ტაშის ცემა გაისმა.

საბჭოს მდივნის თანამდებობაზე კანდიდატებად დაასახელეს ს. ქრელაშვილი, რ. იონისიანი, ლისიციანი, ნ. თამამშევი, ა. ღულაძე. გარდა ს. ქრელაშვილისა, ყველამ უარი სთქვა კენჭის ყრაზე, და ამოირჩიეს კიდეც ხმების დიდი უმრავლესობით (59—12).

ზოგი ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ მდივანი ორის წლით ყოფილიყო არჩეული, მაგრამ საბჭომ ოთხის წლით არჩევა არჩია, ესეც დიდის უმრავლესობით.

წერილი ართვინიდან

ცხოვრება ართვინში.—აქაური ახალი ამბები.

„ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“-ო—აი ის ანდაზა, რომელიც ზედ გამოჭრილია ართვინზე: როგორც ოცდა-ხუთის წლის წინად უცხოვრია, ისევე ეხლა სცხოვრობს და უთუოდ კიდევ დიდ ხანს იცხოვრებს. მთელი ოლქი ყველაფრით დაქვეითებულია. სწავლა იმისთვის არ არსებობს, რადგან მთელს ოლქში მხოლოდ ერთი სახელმწიფო სასწავლებელია. ამას გარდა, იგი მოწყვეტილია ქვეყანას უხეირო გზების წყალობით. კვირაში ერთი დღეა აქაურებისათვის გასახარი, როცა ფოსტა მოვა ხოლმე ბათუმიდან. ფოსტა მეთქი—ვსთქვი, მაგრამ იმასაც ბევრი არაფერი მოაქვს, რადგან არც რამეს ვიბარებთ ჩვენს გასაფხიზლებლად. აქაურ ქართველობას მხოლოდ ორი ცალი ქართული გაზეთი მოსდის. უკეთესი გასართობი აქაური მანდილოსნებისა ჭორია და მერე ისეთი, რომ დღეში ორი ნომერი გაზეთისა გამოვიდოდა, თუ ვინმე ითავებდა ჩვენში იმის ბეჭდვას. ჩვენი სამკითხველო სამხედრო კლუბია და ბიბლიოთეკა—ჭორის ბოხჩა. ყველა ამას დაუმატეთ უექიმობა, რადგან მთელს ოლქში ერთად-ერთი ექიმია, და ჩვენს ბედნიერებას წარმოიდგენთ.

ჩივილით რომ თავი არ მოგაწყინოთ, აქაური მხარის ახალს ამბებს მოგახსენებთ: წარსულს თვეში თექმის ველზე, რომელიც აერთებს არდანუჩის და ოლთის ნაწილებს, გაიყინა თოვლის კორიანტელში ერთი მაჰმადიანი, რომელსაც გაეცილებინა სომეხი გადაღმა ოლთში და დაბრუნებისას კი დაღუპულიყო. ამ ბოლოს დროს არდანუჩში გაჩნდნენ ძველის საფლავების მთხრელები. ოლქის უფროსმა ერთი მათგანი ჩ—ცი შეიპყრო და დაატუსაღა კიდეც. აქეთ ხმა დადის, რომ მთავრობას აზრადა აქვს მომავალ გაზაფხულიდან ართვინისა, არდანუჩისა და შავშეთ-იმერხევის ნაწილებში დანიშნოს ექიმები, ფერშლები და დააარსოს აფთიაქები. ღმერთმა [illegible] როგორც მომაკვდავს ზიარება, ისე მოგვესწრობს.

ლადო.

დაბა-სოფლები

დუშეთი (ქართლი). ამ რამდენისამე თვის წინად მთავრობამ მოინდომა დუშეთში საქალაქო სკოლის დაარსება სამეურნეო განყოფილებით. სამწუხაროდ, ქალაქმა მხარი არ მისცა, როგორც ეს სხვა ქალაქებშია შემოღებული, წუწუნს მოჰყვა, რომ არაფერი მაბადია და მთავრობამაც პირი უბრუნა, სხვა ქალაქში გადაიტანა განზრახვა სკოლის დაარსების შესახებ. სიმართლე რომ სთქვას ადამიანია, დუშეთის დაქვეითება სიღარიბის კი არა, დაუდევრობის ბრალია: დუშეთი რომ ღარიბ-ღატაკი იყვეს, მაშინ არც საქეიფო-სალხინო უღელში იქმნებოდა შებმული და ყოველ-წლობით ამქრობაში ოც და ორმოც თუმნობით არ გაჰფლანგავდნენ ტყუილ-უბრალოდ. სანუკვარ რამეს ვერც სამკითხველოში ვხედავთ. სამკითხველოში მხოლოდ ორი-სამი ინტელიგენტი დაიარება, ხალხის ჭაჭანება ხომ სრულებით არ არის. სამკითხველოში ქურდ-ბაცაცებიც გაჩენილან: როგორც თვით სამკითხველოს გამგის განცხადებიდანა სჩანს, რამდენიმე ცალი ნივთი დაკარგულა და რამდენიმე ათი ცალი წიგნი ჩაულაპულა. გამგეობა მოწიწებითა სთხოვს, ვისაც აქვს, დაუბრუნონ კუთვნილებისამებრ. დუშეთში ყოველ დღიურ ვარამს ზედ ერთვის მიმოსვლის სიძნელე და მეეტლეების გაუმაძღრობა. იმას გინდა სჩივის, რომ გადაწყვეტილი ფასი არ არის დადებული მიმოსვლაზე, ხშირად უხეირო ცხენების წყალობით მგზავრს ფეხით უხდება სიარული. არც საკვირველია: მეეტლე თავის ეტლში შვიდ-რვა კაცს სვამს. **ხორხოშელი**

აბაშა (სამეგრელო). ჩვენ დაბაში ეხლა გაცხარებული ქეიფია. ჩვეულებისამებრ ქეიფი ხდება „მეარღნეთა“ მონაწილეობით. ამ უკანასკნელ გასართობს დიდი მიმზიდავი თვისება აქვს, განსაკუთრებით ბავშვებისათვის; ხშირად შეხვდებით, რომ კმირებს დასდევენ უკან ბავშვები, მათ შორის, რასაკვირველია, მოსწავლენიც. შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა გავლენა ექნება ყველა ამას უმანკო ბავშვის ხასიათზე. ქეიფ-ღრეობის გატარებაში [illegible] იღებენ მონაწილეობას. ზოგჯერ ისეთ ხშირ სროლას გაიგონებთ, რომ უეჭველად იფიქრებთ ადა-მაჰმად ხანი შემოსულაო. პარალელურად სწავლა განათლებასთან ჩვენში ამგვარი მოვლენებიც ფეხს იდგამს შედარებით.

ვაჭრობა აბაშაში გვარიანია. გვარიანია და არა კარგი. „ბაზრობა“ ჩვენში პარასკეობით იციან, ხოლო ყოველ-წლიურად დანიშნულია „იარმუკობა“ პირველ სექტემბრიდან ათამდე. „ბაზრობაზე“ გლეხებს შემოაქვთ ყოველგვარი სანოვაგე. ვაჭრობენ ამ აზრით დანიშნულ მოედანზე; ამით სარგებლობენ ქალაქის „მამები“, დიდ ბაჟებს იღებენ მიუხედავად შეძლებისა. ხოლო ეს ბაჟი ვის ან რის სასარგებლოდ მიდის, ალაჰმა უწყის!.. რაღა თქმა უნდა, ვაჭრობის ზრდას ეს გარემოება ხელს უშლის. **ამგრონი**

თეატრი

მუსიკა. 14 დეკემბერს „ტფილისის საკრებულოში“ გაიმართა მეოთხე საკვარტეტო სადამო, რომელსაც ჩვეულებრივ ხალხი ბლომად დაესწრო. მონაწილეობას იღებდნენ: სკრიპკის დამკვრელი გ. რ. გოლმაუ, გ. ა. სუმიგალოვი (ალტი), ა. ი. პოლიცკა (1 ვიოლონჩელი), დ. გ. ცედლერი (2 ვიოლონჩელი) და ფ. კ. კესნერი (ფორტეპიანო). პროგრამაში მოთავსებული იყო E-moll-ის კვარტეტი ბეთჰოვენისა, რომელიც მწყობრად და ხელოვნურად შეასრულეს. განსაკუთრებით ყურადღება მიიქციეს ვსიდიევმა და გოლმაუმ. დიდის ცოდნით შეასრულეს Allegretto-ს მესამე ნაწილი, სადაც კარგად შემუშავებულია რუსული სახალხო სიმღერა „Слава на небѣ солнцу высокому“. ბ-ნ სუმიგალოვის ალტი საამო, მელანხოლიურის ხმით გამოისმოდა. საინტერესოა მოსმენა სუმიგალოვისა სკრიპკის დაკვრის დროს. ბ-ნმა სუმიგალოვმა ეხლა-ხან გაათავა დიდის წარმატებით მოსკოვის კონსერვატორია.

შემდეგ დიდის ცოდნით შეასრულეს რისის სუიტა, დაწერილი სკრიპკასა და ფორტეპიანოსათვის. საზოგადოებას მოეწონა როგორც კესნერი, ისე გოლმაუ. ამ უკანასკნელს ლამაზი, განსაკუთრებული ტონი აქვს, მოსაზრებულად გამოთქმა და მტკიცე ხელი. bis-ზე შეასრულეს სვენდსენის რომანსი.

ირთმევს და სულს არითმევს დღე და ღამ მუშას მთა ველ-მინდვრად, მაგრამ ცალიერი პურისა და წყლის მეტს ვერას იმეტებს ოჯახიშვილი თავისათვისაც-კი (გარდა საუფლო დღეებისა), თორემ საცოდავ მუშას ვინღა კითხულობს.

მჭიდროდ დასახლებულ ქიზიყის სოფლების ორღობეებში კაცს არ გაევლება ზაფხულობით: ყოველგვარი სიბინძურე ადამიანს დაახრჩობს. მცხოვრებთა ეზო-ყურეც ისე გატენილია ყელამდის ნაგვითა და უსუფთაობითვე, რომ იმოდენა უწმინდურება მითოლოგიურ მეფე ავგიასის თავლაშიაც არ იქნებოდა ჰერკულესის დროს.

ეჰ, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, მკითხველო, ამ საცოდავ, პაწია წერილში და ან სად შემიძლიან უნიჭო ქაღალდი-ჩხაპიას ქიზიყის ყოფა-მდგომარეობის სარკეში ჩაგახედოთ, და რომ შემეძლოს კიდეც მაშინ მე ქაღალდი და მელანი შემომაკლდებოდა და თქვენ—მოთმინება მოსმენისა.

—

ერთი წელიწადი არც კია, რაც მთავრობამ ქიზიყის თავისუფალ-სახელმწიფო ადგილებზედ ახალმოსული ბოგანო რუსები დაასახლა ორ სოფლად, მაგრამ ეხლავ ადამიანს თვალი ზედა ჰრჩება იმათ გონივრულ ყოფა-ცხოვრებაზე, თბილ-ღუმელიეთ სახლების შინ და გარეთ სისუფთავეზე, ლარივით სწორე ქუჩებზე, სამკალ-სალეწ მანქანებზე და სხვა მრავალ იმ სასიკეთო საქმეზე, რასაც კი ჩვენი, ორი ათასის წლის ბინადარი ხალხი, დღესაც მოკლებულია სამარცხვინო დაუდევრობის გამო...

ასი ათას მცხოვრებელთა ქიზიყის ხალხის ზნე-ყოფა ცხოვრების სიღრმე-სიგანის ზედმიწევნით მცოდნემ რომ ქიზიყის დღევანდელი სოციალური და ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა ფოტოგრაფიულის სინამდვილით გადაიღოს, მწარე ცხოვრების იმოდენა გასაოცარი სურათი გამოვიდოდა ფუტკრის ჟოლივით თავისი ათასნაირი პროტოტიპებით, რომ თავმოჰწონე მეოცე საუკუნე ჰკუიდან შეიშლებოდა ბოლმისაგან: ვაი სირცხვილო, ეს რა ვაგლახი და სამარცხვინო ყოფა-მდგომარეობა ჰქონია საბრალო ხალხს ჩემს დროსაც-კიო!... მაგრამ სად გვაბადია მდაბიო ხალხის ზნე-ყოფა-ცხოვრების ფოტოგრაფიულად დამსურათხატებელნი კალმოსანნი, რომელნიც თავიანთ შორს-გამჭვრეტი ნიჭის წყალობით ყველაფერს ცხადად ჰხედავდნენ ჯანღ-ბურუსით მოცულ ცხოვრების ზღვის ფსკერშიაც კი ქვეყნის წინაშე ხელის გულივით გარდასაშლელად, სამკურნალოდ, სამალამოდ... ჩვენთვის მარტოოდენ ქურდ-ბაცაცების, უმნიშვნელო ამბებისა და ასიათასჯერ გადაღეჭილ-გადმოღეჭილ რამე-რუმეების შესახებ ჯღაბვნის სურვილი მოუცია ცა-ქვეყნის დამბადებელ ზენას. სწორედ ჩვენისთანა ყოვლად უნიჭო ქაღალდი-ჩხაპია კორესპონდენტებზეა ზედ-გამოჭრილი:

საბრალო ოხაშენტრეს
ხარ-კამეჩ ჭრჭებათ,
და მინდვრათ საძოვარზე
თავებს ერეკებათ!

მთამზე.

უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა არენსკის A-moll-ის კვარტეტმა, სკრიპკისა, ალტისა და ორ ვიოლონჩელისათვის დაწერილმა. იგი შედგენილია პ. ი. ჩაიკოვსკის ხსოვნის პატივსაცემად. №

უცხოეთის წვრილი ამბები

უმავთულო ტელეფონი. ახალ ამბავად უმავთულო ტელეგრაფი ვიცოდით, ახლა უმავთულო ტელეფონიც მოუგონია ერთ გერმანელ ექიმს. ამ ტელეფონით ძალიან შორს მანძილზე შეიძლება ლაპარაკი და მოლაპარაკეს ხმაც კარგად გამოიცნობა თურმე. უცდიათ კიდეც ეს გამოგონება და იმდენად კარგი გამოსულა, რომ ორ ინჟენერს კიდეც შეუსყიდიათ მომგონისაგან ამ ტელეფონის ევროპაში გამართვის უფლება. მთელი ქვეყნიერების დედა ქალაქები ადვილად შეიძლება ამ ახლად გამოგონილის ტელეფონით შეერთდესო.

* *

ბანკი და ქალები. ნიუ-იორკში ახალი ბანკი არსდება, რომელიც განსაკუთრებით ქალების ხელში იქმნება, თურმე. ამ ბანკისათვის 25 მილიონი დოლარი კიდეც შეუკრებიათ.

* *

უხვი შეწირულება. ამერიკა განთქმულია მილიონების პატრონებით, მაგრამ აქ ისიც ხშირია, რომ დიდ ფულს სწირავენ საზოგადო საქმეთა დასახმარებლად, განსაკუთრებით სწავლა-განათლებისათვის. აი ახლაც: ცნობილს მილიონერს ჯონ-როკფელერს 20 მილიონი მანეთი შეუწირავს ამერიკაში სახალხო უნივერსიტეტების დასაარსებლად.

სასამართლო

მოსწავლის მიერ მასწავლებლის მოკვლა

გუშინ ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლედ ნამყოფის რაჭის მაზრის მცხოვრების, 17 წლის დომენტი კვახაძისა, რომელსაც იმავე გიმნაზიის მასწავლებელ ქალის ევგენია არნოლდის მოკვლა ჰბრალდებოდა. ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექილი ლ. ი. შევალიე. მკითხველებს ეს მკვლელობა უთუოდ ეხსომებათ. ამა მიმდინარე წლს ბათუმის გიმნაზიის მესამე კლასში, ფრანგულ ენის გაკვეთილის დროს, დომენტი კვახაძე წამომდგარა, მისულა არნოლდთან და მკვახედ უკითხნია, „პერქეეგზამენოვკა“ რად დამინიშნეთო. მასწავლებელ ქალს მიუგია, თქვენ მთელი წელიწადი ცუდად სწავლობდითო, ამასთან უთქვამს, თქვენს ადგილზე დაჯექითო. კვახაძეს იმავე კილოთი გაუგრძელებია ლაპარაკი. ლაპარაკის დროს კვახაძეს ხელი შეუყვია ბლუზის კალთის ქვეშ. იქვე მჯდომ მოსწავლეს, სიმონ ბერძენიშვილს დაუძახნია ქალისათვის: „მადმუაზელ“, გაუფრთხილდით, კვახაძე მოკვლას გიპირებსთო“! არნოლდს ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევია და ბერძენიშვილისათვის შეუნიშნავს, მაგ უადგილო დრიალისათვის ყოფა-ქცევაში 1 დაგისვამთო. მაგრამ ბერძენიშვილს კიდევ უთქვამს: „გაუფრთხილდით, კვახაძე მოგკლავსთო.“ შემდეგ მასწავლებელი ჩასულა და მოსწავლეებთან ერთ სტოლზე დამჯდარა. ამ დროს გაღებულ ფანჯარასთან მისულა მე-4 კლასის მოსწავლე ოზურგეთის მაზრის მცხოვრები ისაკ კვახაძე. კვახაძე, როგორც თქმიდან სჩანს, ამ დროს გაკვეთილზე არა ყოფილა, იგი ელოდდა, როდის დაუწყებდა კვახაძე არნოლდს ხოცვას. როცა ხმაურობა გაუგონია, ფანჯარასთან მდგომ კვახაძისათვის დაუძახნია ქართულად, „დროა, აბა რადას უცდიო“. კვახაძე ამ სიტყვების შემდეგ მიჰვარდნია ქალს და ისე ძლიერად შემოუკრავს ხელი, რომ ქალი იატაკზე გულ-აღმა დაცემულა. მაშინ კვახაძეს ამოუღია ბებუთი და ჩაუკრავს ქალისათვის გვერდსა და მუცელში. არნოლდს ძალა მოუკრეფია, ზეზე წამომდგარა და გაქცეულა; კვახაძეს მესამედაც უნდოდა დაეჭრა, მაგრამ წამოსწევია მოსწავლე ჭიჭინეიშვილი და შეუჩერებია. ამ დროს უგიროდზე მოცვივნულან მასწავლებელნი, რომელთაც ხელი უტაცნიათ მომაკვდავ არნოლდისათვის. ხოლო კვახაძე გადამხტარა ფანჯრიდან გზაში. აქ წამოსწევია მოსწავლე ალექსანდრე დეისაძე და ბებუთი წაურთმევია. კვახაძე ცოტა ხანს გზაში ყოფილა, შემდეგ კვახაძესთან ერთად ჩამჯდარა ეტლში და წასულან შინ. სადამოთი პოლიციამ დაატუსაღა კვახაძე და კვახაძე.

გამოძიების დროს კვახაძეს უთქვამს: არნოლდის მოკვლა მე ამ ნაირად განვიზრახე. ერთხელ ბათუმს გარედ ბაღში ვსეირნობდით მე და კვახაძე, რომელმაც რევოლვერი ჯიბიდან ამოიღო და მითხრა, თუ ჩოჩიშვილმა იმავე კლასში დამტოვა, უნდა ამ რევოლვერით გავუთავოო. მეც მაშინ გავიფიქრე ეგევე ჩამედინა ფრანგულ ენის მასწავლებლის შესახებ. 15 მაისს საპედაგოგიო საბჭოს სხდომა ჰქონდა. რათა ჩემს შესახებ გამეგო რამე, ოთახთან მივიპარე და ყური დავუგდე. გავიგონე, არნოლდმა სთქვა, რომ კვახაძე ძალიან ცუდად სწავლობდა მთელს წელიწადს და იმავე კლასში უნდა დარჩესო. ბრაზი მომერია და მაშინვე გადავწყვიტე ბებუთის ყიდვა და მოკვლაო. კვახაძეს უთქვამს, მე ამ მკვლელობაში არავითარი დანაშაულობა არ მიმიძღვის და არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ზაფხულში განუხილავს ეს საქმე, კვახაძე გაუმართლებია, ხოლო კვახაძე დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია იმისთვის ყოველის ღირსების ჩამორთმევა და 10 წლით კატორგაში გაგზავნა. ბრალდებულს საქმე გადმოუტანია სამოსამართლო პალატაში და უთხოვნია სასჯელის შემცირება.

პალატაში კვახაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი გ. შევალიე, რომელმაც აღნიშნა საყურადღებო ფაქტები საქმიდან და ითხოვა სასჯელის შემცირება. პალატამ დამნაშავედ იცნო კვახაძე და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 დეკემბერი

პარიზი. ემბერები ჩამოიყვანეს და საპყრობილეში ჩასვეს.

სოფია. ლამსდორფი და მთავარი მინისტრ-პრეზიდენტთან იყვნენ საუზმეზე. მაკედონელნი ჩირაღდნებით მიეგებნენ გრაფს. რედაქტორმა ნაუმოვმა გაჭირვებულ მაკედონელთა სახელობით სიტყვა წარმოსთქვა, ხელმწიფე იმპერატორის დახმარებისათვის მადლობა გამოუცხადა და შემწეობა სთხოვა. ლამსდორმა სასახლის აივნიდან მადლობა გამოუცხადა. გრაფი მიტროპოლიტთან იყო და მერე საერო კრებას დაესწრო. თავჯდომარემ გრაფის სადღეგრძელო დალია; გრაფმა —ბულგარიის აყვავებისა. სასახლეში სადილი იყო. მაკედონელნი საერო საკრებულოს დეპუტატები წარუდგნენ. დეპეშები მოვიდა მაკედონელ საზოგადოებათაგან, იმედს აცხადებენ ქვეყნის გაუმჯობესებისას. გრაფი დღეს ვენას მიდის.

ლონდონი. გაზ. „სტანდარდ“-ი იუწყება, რომ იუანშიკაიმ შეადგინა გზათა გამგებელ დეპარტამენტის დაარსების გეგმა, რომელიც მთავრობამ მოიწონა. დეპარტამენტი ისე იქმნება მოწყობილი, როგორც იაპონიაშია, და ჩინეთის ფოსტის საქმე იუანშიკაის ჩაჰბარდება.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი უსაკოვსკი კასპიის იქითა მხრისა და თურქესტანის მეორე კორპუსის უფროსად დაინიშნა.

17 დეკემბერი

რომი. „სტეფანის სააგენტო“ იუწყება, რომ ავსტრო-ვენგრიამ ოფიციალურად გამოაცხადა უარი ვაჭრობისა და ზღვით სარგებლობის შესახებ იტალიასთან პირობის შეკვრაზე, რომლის ვადა თავდება 31 დეკემბერს 1903 წ. ავსტრო-ვენგრია თავის უარს იმით ასაბუთებს, რომ შეუძლებელია დაცვა იმ მუხლისა, რომელიც შეეხება ღვინით ვაჭრობას.

პარიზი. ევა ემბერი გაანთავისუფლეს სატუსაღოდან.

სმოლენსკი. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა საგუბერნიო კომიტეტმა გაათავა მუშაობა და მიიღო წინადადება მურომცევისა იშუამდგომლონ მმართველობის წინაშე შესახებ ცენტრალურ ბანკის გახსნისა წვრილი სესხის გასაცემად.

ტანჟერი. სულთანის ჯარს, მეამბოხეებთან ბრძოლაში მოუკლეს და დაუჭრეს 2000-მდე კაცი.

კამიშლოვი. 1903 წლის 1 იანვრიდან კამიშლოვში გაიხსნება საერობო ფოსტის მიმოსვლა.

ტანჟერი. როგორც ისმის, სულთანმა არტილერიით და სამხედრო სურსათით უკან დაიწია ფეცისაკენ და გამაგრდა სასახლეში.

ვენა. „ვიენერ აბენდპოსტი“ იტყობინება, რომ იმპერატორმა მიიღო ლეოპოლდ ფერდინანდისაგან ერც-ჰერცოგის ხარისხობაზე უარყოფა და მისცა ნება იწოდებოდეს ლეოპოლდ ველფლინგომად. ლეოპოლდი ამოშალეს ოქროს მატყლისა დ ლაშქრის ორდენის სიიდან.

ჟენევა. ის პირი, რომელმაც წმ. პეტრეს სობოროში გადააგდო ყუმბარა, შეიპყრეს; აღმოჩნდა, რომ სულით ავადმყოფი მანეტტოა იტალიელი; გამოტყდა თავის დანაშაულობაში და აღიარა, რომ თანამონაწილე არა ჰყოლია.

მადრიდი. მაროკკოს კითხვის შესახებ შესდგა საბჭოს კრება. გადასწყვიტეს მოავროვონ ჯარები მალაგაში, კადიკსში და ალგეზირისში და თუ საჭირება მოითხოვს, გაგზავნონ მშველელი ჯარები ცეუტში და მელილში. გადასწყვიტეს ხომალდის გაგზავნა ისპანიელთა დასაცავად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3, სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით. პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს) 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 წ 28 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

ექმ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—82)

ამერიკულ ვაზის

აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზე ერთის წლის დამყნილი იდგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი . .	15 მ.
Riparia gloire de montpellier	10 „
Berlandieri კირნარევ ნიადაგისთვის.	30 „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris monticola 1000 მეტრი . .	5 „
Riparia gloire de Montpellier	3 „
Berlandieri . . . . , . . .	15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову.

(10—467 -5)

ГОДЪ ИЗДАНІЯ XXI

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ

карской области

Открыта Подписка

НА ГАЗЕТУ

„Карсъ“

на 1903 годъ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою и пересылкою 3 рубля въ годъ.

Подписка принимается въ Редакціи газеты „КАРСЪ“, въ гор. Карсѣ, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета „Карсъ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карской области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. (ზ. 3—3)

Всѣ подписавшіеся *до 25-го декабря 1902 г.* получатъ даромъ журналъ и всѣ приложенія за ноябрь и декабрь 1902 г.

60 №№

183 прилож.

Открыта подписка на 1903 г. на

иллюстрированный журналъ

домашняго хозяйства и полезныхъ свѣдѣній

4 руб. годъ.

Разсрочка.

ХОЗЯЙКА

ПО РАСШИРЕННОЙ ПРОГРАММѢ.

Подписавшіеся до 25-го декабря 1902 г. получатъ:

60 №№ богато иллюстр. журнала. Болѣе 2000 стр. текста. Статьи по всѣмъ вопросамъ домашняго хозяйства. Уходъ за домомъ въ городѣ и деревнѣ.—Порядокъ въ квартирѣ.—Садоводство.—Огородничество.—Полеводство. — Домашнія животныя.—Полезныя искусства въ общедоступномъ примѣненіи.—Полезныя свѣдѣнія, необходимыя въ практической жизни. Безплатные отвѣты Гг. Спеціалистовъ на всѣ вопросы Гг. Подписчиковъ.—Масса иллюстрацій. Отд. № 20 коп.

60 №№ „МАТЬ и ДИТЯ“ Болѣе 1000 стр. текста. Физическое и духовное воспитаніе дѣтей.—Гигіена дѣтскаго возраста. — Какъ ухаживать за здоровымъ и больнымъ ребенкомъ.—Дѣтскія игры и забавы дома и на воздухѣ.—Масса иллюстрацій. Отд № 20 к.

60 №№ „КУЛИНАРЪ“ Болѣе 1000 стр. текста. Какъ готовить здоровыя и дешевыя кушанья.—Скоромный и постный столъ.—Вегетеріанскій столъ.—Домашніе консервы и заготовки. Кондит. издѣл.—Напитки.—Меню за недѣлю.—Масса иллюстр. Отд. № 20 к.

28 №№ журнала „МОДЫ“. Болѣе 500 стр. текста. — Моды дамскія и дѣтскія. — Прически.—Бѣлье.—Обувь. — Духи и бездѣлушки.—Хроника модъ.—Письма изъ Парижа, Вѣны, Лондона.—Искусство красиво и дешево одѣваться. Отд. № 30 к.

28 №№ журнала „ВЫКРОЙКИ и ВЫШИВКИ“. По новѣйш. парижск., вѣнск. и лондонскимъ образцамъ а равно и по рисунк. русск. художник.—Цѣль этого журнала дать возможность красиво одѣваться домашними средствами. Отд. № 30 к.

7 КНИГЪ богато иллюстрированныхъ КНИГЪ **7**

Каждая книжка 150—200 стр. текста обыкн. книжн. формата.

1. РОСКОШНЫЙ АЛЬБОМЪ ВЫШИВОКЪ ВЪ КРАСКАХЪ *(отд. стоитъ 2 р. 50 к.).*
2. *Проф.* А. Андреа: Домовѣдѣніе (116 рис.).
3. Н. Вортъ: Кройка и шитье дамскихъ и дѣтскихъ платьевъ (съ атласомъ).
4. *Проф.* К. Фишеръ: Цвѣтоводство (93 рис.).
5. *Проф.* Н. Гаутгартъ: Книга чудесъ (118 рис.).
6. И. Мэкензи: Кройка и шитье бѣлья (съ атлас.).
7. А. Фреденборгъ: Самоучитель женскихъ рукодѣлій съ атласомъ.

Всѣ подписавшіеся послѣ 25-го декабря 1902 г. получатъ только 52 №№ журн. „Хозяйка“.—52 №№ журн. „Мать и Дитя“.—52 №№ журн. „Кулинаръ“.—24 №№ журн. „Моды“.—24 №№ журн. Выкр. и Выш. и 6 книгъ (безъ первой).

Цѣна на годъ съ доставкой и перес. 4 руб. Допускается разсрочка: *При подпискѣ* 2 р., *къ 1-му марта* 1 руб. *и къ 1-му мая* 1 руб. Или *пер. на 8 мѣсяцевъ по* 60 коп. Подписка принимается въ Гл. Конт. „Хозяйка“: *С.-Петербургъ, Невскій пр., д. 69,* и во всѣхъ книжн. магаз.

Отвѣтств. Редакторъ Д-ръ Г. М. Бубисъ.

(3—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 17 декабря, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)